მსაჯი ჩამორჩა მატჩს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 11 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “დინამო” (მინსკი) 1:1 (1:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ცხოვრებოვი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი (ჭელიძე), ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

მინსკი: ანდრესი, რიომინი, ზარემბო, კანუნიკოვი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ადამოვი, გირკო (ვასილიევი), მალოფეევი, კაბერსკი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

გუშინდელ მატჩში ფაქტიურად გამეორდა დონეცკის “შახტორთან” შეხვედრის ისტორია და ანალოგიას შეეძლო სრული სიზუსტისთვის მიეღწია. საქმე თანაბრად გაყოფილი ქულებით ამოიწურა, მიზეზი კი ერთი და იგივეა: ჩვენმა გუნდმა ვერ იქნა და ვერ ისწავლა თავისი დიდი უპირატესობის რეალიზაცია, შეტევისთვის სათანადო წერტილის დასმა.

მინსკელებთან მატჩი ზემო ნათქვამის ნათელი ილუსტრაციაა. თამაში მეტი წილი თბილისელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მესხის გადაცემიდან დათუნაშვილის მიერ 41-ე წუთზე გატანილი გოლი მხოლოდ ერთი, საკმაოდ დაგვიანებული ფიქსირება იყო სტუმრების კართან შექმნილი მრავალი სახიფათო მომენტისა.

დაიწყო თუ არა თამაში, მასპინძელთა ნახევარზე მაშინვე დაწყვილდნენ ხურცილავა-მალოფეევი, ცხოვრებოვი-ადამოვი, პეტრიაშვილი-კაბერსკი. სანამ ბრძოლა მოპირდაპირე მხარეს, სტუმართა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა, მცველებს თითქოს საიმედოდ ეპყრათ ხელთ პერსონალური მეურვეობის სადავეები, მაგრამ რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევის შემდეგ გამოირკვა, რომ სისწრაფეშიც, ფრონტალურ გადაადგილებაშიც და, უბრალოდ, ბურთის დამუშავების დროსაც მინსკელი ფორვარდები ჯობდნენ თავიანთ დარაჯებს და თბილისელთა კართან მეტი თუ არა, ნაკლები სახიფათო მომენტი არ შექმნილა, სადაც კოტრიკაძემაც კარგად ითამაშა და რამდენიმე ბურთიც სულ ცოტათი აცდა კარს, მაინც, ერთ-ერთმა მათგანმა მიაღწია მიზანს: 74-ე წუთზე ვასილიევმა ახლოდან დაარტყა კარში, ბურთი ასხლტა რეხვიაშვილის ფეხზე და გავიდა კარში _ 1:1.

ქულა დაიკარგა. ეს საწყენი ამბავია, მაგრამ არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ ლენინგრადელი ა. ზვერევის უნიათო, ინერტული მსაჯობა. “წინასწარ განზრახული ფოლის” ტაქტიკა ცნობილი ამბავია ფეხბურთში, მინსკელთა დაცვა მეტწილად ვერაფერს აწყობდა ჩვენს თავდასხმასთან პატიოსან ბრძოლაში და ამიტომ პირველივე წუთებიდან მიმართა განზრახ უხეშობის ტაქტიკას. მესხსა და მეტრეველზე ნამდვილი ნადირობა იყო გამართული, ჩვენი ფეხბურთელები ყოველი შეტაკების შემდეგ მოცელილები იწვნენ ძირს. ზვერევი კი ოლიმპიური სიდინჯით არიგებდა თავისუფალ დარტყმებს. როცა მსაჯი ჩუმადაა, მოთამაშეები იძულებული არიან თვითონ იფიქრონ რევანშზე. ეს კი ორმხრივ უხეშობას იწვევდა. მინსკელები არც სიმულაციას ერიდებოდნენ და არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს უფლებას შეესრულებინათ საჯარიმოები (ადამოვი, კანუნიკოვი, სავოსტიკოვი). მაინც, ზვერევი ბოლომდე ინდიფერენტული დარჩა წესრიგის დამრღვევთა მიმართ.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 12 აგვისტო, 1967 წ.